

ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის 2 კვარტლის შესრულების მიმოხილვა

მოგახსენებთ, რომ ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა 2020 წლის 28 დეკემბრის №34 დადგენილებით. დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობები და ხარჯები განსაზღვრული იქნა 13040300 ლარით. მიმდინარე პერიოდის მდგომარეობით დაზუსტებული ბიუჯეტის შემოსულობების და ხარჯების გეგმა შეადგენს 19789492 ლარს. რაც შეეხება 2021 წლის 2 კვარტლის ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გეგმებს შემოსულობებისა და ხარჯების ნაწილში - შეადგინა 12621151 ლარი.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2021 წლის 2 კვარტლის შემოსავლების დაზუსტებული გეგმა იყო 10740209 ლარი, შესრულებამ შეადგინა 9255872 ლარი და გეგმა შესრულდა 86 პროცენტით. მათ შორის შემოსავლების სახეების მიხედვით:

გადასახადების გეგმა იყო 66548853 ლარი, შემოვიდა 6045717 ლარი და გეგმა შესრულდა 91 პროცენტით. სხვა შემოსავლების გეგმა იყო 361000 ლარი, შემოვიდა 423984 ლარი, გეგმის შესრულებამ შეადგინა 117 პროცენტი. ამავე პერიოდში შემოვიდა გრანტები 2786170 ლარი.

მიმდინარე პერიოდის ნაშთის ცვლილებამ შეადგინა 1880942 ლარი.

მიმდინარე პერიოდის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ ნაშთის ჩათვლით შეადგინა 12621151 ლარი, შესრულებამ შეადგინა 11903512 ლარი და გეგმა შესრულდა 94 პროცენტით.


ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2021 წლის გადასახდელების (ხარჯების) გეგმა იყო 12621151 ლარი, შესრულებამ შეადგინა 10114400 ლარი, გეგმა შესრულდა 80 პროცენტით. ხარჯები გაწეულია ეკონომიით. მათ შორის:

1. ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 350000 ლარი, შესრულებამ შეადგინა 294761 ლარი და გეგმა შესრულდა 84 პროცენტით.
2. მუნიციპალიტეტის მერიის 2021 წლის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 939700 ლარი, შესრულებამ შეადგინა 753796 ლარი და გეგმა შესრულდა 80 პროცენტით.
3. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურისთვის გეგმიური 48900 ლარის ნაცვლად გახარჯული იქნა 42615 ლარი და გეგმა შესრულდა 87 პროცენტით.
4. ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციისათვის ხარჯები გეგმით გათვალისწინებული იყო 6227833 ლარი, შესრულებამ შეადგინა 5161907 ლარი (83%).
5. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის ხარჯი გეგმით გათვალისწინებული იყო 644300 ლარი, შესრულებამ შეადგინა 455902 ლარი (71%).
6. საგანმანათლებლო ღონისძიებებისათვის ხარჯები განსაზღვრული იქნა 2906136 ლარი, შესრულებამ შეადგინა 2302331 ლარი (79%).
7. კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის ხელშეწყობის ხარჯების გეგმა იყო 760432 ლარი, შესრულებამ შეადგინა 533185 ლარი და გეგმა შესრულდა 70 პროცენტით.

8. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 489549 ლარი, შესრულებამ შეადგინა 422921 ლარი (86%).
9. მერის ბრძანებებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და გახარჯული თანხის ოდენობამ შეადგინა 21900 ლარი.

დეტალური ინფორმაცია მიმდინარე პერიოდის შემოსავლების და გადასახდელების შესახებ თან ერთვის.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის
საფინანსო სამსახურის უფროსი:



/გ. მანგოშვილი/